საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2324/01
10/03/2022

2324-01-2-202203101846

**შპს „NEW STAR“-ს**

**მის:** ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ალავერდი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 17 თებერვლის №3076 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფ. ალავერდში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი საწარმოს განთავსების ტერიტორიის GPS კოორდინატები (X - 520000.00; Y - 4654632.00) არ ხვდება საპროექტო ტერიტორიის (ს/კ: 50.12.37.020) საზღვრებში. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, მდ. ალაზანი მიედინება საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დასავლეთით, 70 მეტრში, ხოლო მდ. ხოდაბუნისხევი - სამხრეთ-აღმოსავლეთით 85 მეტრში. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დასავლეთით მდ. ალაზანი მიედინება 160 მეტრში, ხოლო მდ. ხოდაბუნისხევი - სამხრეთ-აღმოსავლეთით 1.72 კმ-ში. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, „ტექნოლოგიური პროცესის აღწერის“ თავში აღნიშნულია, რომ საწარმოში ინერტული მასალების დამუშავებისთვის საჭირო წყალაღება განხორციელდება მდ. ალაზნიდან, ხოლო, „წყლის გამოყენება და ჩამდინარე წყლების“ თავში მითითებულია, რომ „წყალაღება მოხდება მდ. ხოდაბუნისხევიდან, რომელიც შემოდის არხით და არხის ბოლოს მოწყობილია პატარა ტბორი, საიდანაც წყლის ნასოსის საშუალებით წყალი მიწოდებული იქნება სამსხვრევ-დამახარისხებელ დანადგარზე“. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ზედაპირული წყლის ობიექტის დასახელება, საიდანაც მოხდება წყალაღება, წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები და აღებული წყლის ჯერადობა (თვეების მიხედვით). ამასთან, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ტბორის მოცულობის და მისი შევსების შესახებ ინფორმაცია;
- დაზუსტებას საჭიროებს საწარმოო დანიშნულებით წყალაღებისათვის გათვალისწინებული ტუმბოს წარმადობა;

- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები და ჩაშვებული წყლის რაოდენობა;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ საწარმოში გამოყენებული წყალი გაწმენდის შემდეგ სრულიად დააკმაყოფილებს „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 13 ნოემბრის №745 ბრძანებით განსაზღვრულ სტანდარტებს. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ბრძანება ძალადაკარგულად გამოცხადდა „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №17 დადგენილებით, სკრინინგის განცხადებაში მითითებული ზემოაღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყალი შეგროვდება საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულ ბეტონის ორმოში. დაზუსტებას საჭიროებს სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულ სალექარში დაგროვილი შლამის შემდგომი მართვის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე